ქვირა, 12 ივლისი. ფასი 10 კაპ.

მათრახი
და სალამური

№ 5

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

1 ივლისიდან წლის დამლევამდე ჟურნალი „მაწარახი და სალამური“ ღირს **2** მ. და **50** კ. ვინც ფულს ამ თაყვიდან სრულად შემოიტანს, გაეგზავნება გამოსული ნომრებიც. ფული და წერილები ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს:

Тифлисъ, типографія «Шрома» Василію Карамановичу Болквадзе.

ღარიბი სტუდენტი.

საქველმოქმედო სეირნობაა
იმედი გვაქვს, რომ დაგვეხმარები.
სტუდენტებისთვის ვაგროვებთ ფულსა
მშვიდობით სხვაგან მივეჩქარები.

„ბრძოლა მმანო, ბრწოლა მამა-ბაბური“.

—

თეატრის უკან ბორცვია,
უხმობენ „ბანკის ბაღათა“
დღითი მზე, ღამით ფარნები
დაჭქათქათებენ ლაღათა.
მუნ საღამო ჟამს მხევალნი
დადიან იასაღათა
და მათ ქებულნი ვაჟკაცნი
ჩამორჩებიან რაღათა?

ბაღისა ყურე დასავალს
ჩარაზმულია სტოლები,
სადაცა ნთქავენ ვახშამსა
მოქალაქეთა ცოლები...
გვერდზე ყავთ ტურფა ორკესტრი,
ანგელოზთ წასატოლები,
ხმა ნარნარს აბნევს ნიავი
მუნ ბალად მონაქროლები.

და ასე ყვავის წალკოტი
ტურფა ედემის სადარი,
მუნვე სდგას სააზნაურო
ხელოვნებისა ტაძარი...
არა აქვს მამულს დაჩაგრულს
სხვა გასართობი ამგვარი,
როგორც უფალი, ეგ ბაღიც
ერთია, ტურფთა გამდგარი.

ხუთ ივლისს ამა წალკოტში
საქმეს შევესწარ რამესა,
მამულიშვილთა ნამოქმედს,
გულისა დასაამესა...
ფრთა გაეშალა წყვდიადით
თვალ ჩაბნელებულ ღამესა

და ურცხვად თავი აეშო
„მტერს“ მგლისა დასაჭამესა.
მუნ ხაჩატუროვს ქრისტეფორს
სტოლი „დაეპყრო ქართული“
მანდილოსანთან მჯდომარე
ბაასით იყო გართული.
ეგონა ამა წალკოტში
ქეიფი ნება დართული,
მაგრამ გამოდგა ამბავი
უზომო გადახლართული.
ხეჩატუროვი, ხომ იცით
„ქართლოსიანთა მტერია,“
მის ძმას ივანეს არ უყვარს
ჩვენი ტანჯული ერია,
არ მოსწონს ენა ქართული,
არც სხვა რამ არაფერია,
თუ დაგიხელა ჩაგულაპავს...
ნუ თუ ეს არაფერია???
„მამულიშვილთა“ რა ნახეს
ორგული ბაღში მჯდომელი
რისხვა აღეგზნოთ გულშიგან
უზომო, მიუწდომელი!..
აღტყინდენ, წამოიქოჩრენ
„ვაჟკაცურ“ საქმის მდომელი,
ან კი მითხარით: მოითმენს
ვაჟკაცი ამას რომელი?
გასტყორცნეს სიტყვა უკმეხი
მის მტრისა გასაკილავად,
მკლავნი მომართეს რაინდულ,
წვერ-ულვაშთ დასაქილავად;
საქმესა განიზრახავენ
განუსჯელ განუხილავად,
წინაპარ გმირთა ნასაქმის
ჩასახშობ—ჩასაჩრდილავად.
ამირეჯიბი გიორგი
ბელადობს ქართველ გმირებსა;
ღრმა ტუტუცური სიტყვებით
მნახველებს გააკვირებსა...
ხან თითონ წაუსისინებს,
ხან ლევანს დააყვირებსა,
ლანძღვას და სიტყვას საკილავს
აროდეს დააძვირებსა.
ხან ხაჩატუროვს სწვდებიან
ხან ურცხვად იმის დამასა,
აღარ ალღიან ვაჟკაცნი,
აღარც სმას, აღარც ჭამასა,
ასმენენ მოუთმენელსა
სიტყვებსა ყოველ წამასა;
ფიქრობენ: „რასა შეგვამთხვევს
ბედი საქმესა ამასა.“

ბოლოს წამოდგა დიაცი
ხეჩატუროვსთან მჯდომარე,
თვალთ რისხვის ალი გაუკრთის,
სახე მოუჩანს მწყრომარე,
გარდაიარა მანძილი
ვაჟკაცებამდე მდობარე
და ვით არწივი მიიჭრა
საქმისა ავის მდომარე.
იხილეს თვალთა ყოველთა
საქმე არ განაცთუნები,
ლევანის ღაწვნი, ორ-გზობის
ლაწანით შენაცხუნები,
შეშინებული მწყრებივით
ქართული ვაჟკაცუნები,
ყურ ჩამოყრილნი, ბეჩავნი,
ლაჩარნი დანაწუნები.
ამირეჯიბი გიორგი
გააფთრებულა ვით ხელი...
გაზეთის რედაქტორია
შუბლ მაგარი და ტვინ..,
მსწრაფლ გააშიშვლებს რევოლვერს
სწორ-უპოვარი, ფიცხელი,
ნუ ეხუმრებით, გახსოვდეთ
გმირთა-გმირია ქართველი.
წაუხდა თავადს ერიში!..
აჰყარეს იარაღები,
კვალად ჩაუდვეს ჯიბეში
მუნითგან ამონაღები.
რა ჰქნას ლომ გულმა ვაჟკაცმა
გულს რო ატყვია დაღები..
მტერი ვერ მოკლა, მაგრამა
დაუბაკუნა წაღები.
არ თუ ვერ მოჰკლეს ორგული,
„მამულის დამაქციერი“,
პირ-იქით ვერც კი განდევნეს
ბაღიდან იგი ცბიერი!..
აოელდენ „ძენი ქართლისა“
ახალგაზდა და ხნიერი
ფარულათ ითათბირებენ
ძრწიან ვით ლომნი მშიერნი.
პირდაპირ ბრძოლამ არ გასჭრა,
სჩანს ჩასაფრება სჭირია...
ორბელიანი მოიხმეს
უმბეს გასაჭირია.
უთხრეს: „ყველა ვართ გმირები,
შენი ბადალი ძვირია,
ითავე საქმე საგმირო
მოუსპე მამულს ჭირია.“
იკისრა ორბელიანმა
ესე საგმირო ხელობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააწყო რაზმი ვაჟკაცთა
მიანდო გზათა მცველობა,
უთხრა: არ ვარგა თავხედი
მტერისა დაუსჯელობა...
ჩვენ უნდა ვიხსნათ სამშობლო,
ეგ არის ჩვენი ხელობა.

ჩასაფრდენ მამულიშვილნი
მტერზედან დანაგეშები,
უცდიან ქვეყნის ორგულსა
სურვილით განაშეშები,
ქედ მოუხრელნი ლომგულნი,—
მოუდრეკ—მოუხეშები,
ხელთ არ უპყრიათ მახვილი
არცა საცემი შეშები.

ორბელიანმა „ოსტატურ“
გაიხმო მტერი განზედა...
მოხიბლა ტკბილი ჰანგებით,
სიტყვა აუგდო ბანზედა...
და როცა გაიტყუილა
მუშტების გასაქანზედა
მსწრაფლ დაეძგერა ქორივით
ვაჟკაცი მყოფი ჯანზედა.

მოულოდნელათ გაარტყა
მან მუშტი მონადირები,
მაგრამ გამოდგა ორგულიც
მუშტის არ დამაძვირები.
თითონაც გაჰკრა ბელადსა
მუჯლუგუნ განხშირები...
ხმა გაისმოდა, ვერ ვსცანი
ვინ იყო ანაყვირები.

გამოხტენ ჩასაფრებულნი
ვაჟნი მამაცად ხმობილნი,
არა უბრალო მოდგმისა
ბრწყინვალეთაგან შობილნი,
ჩხუბში და აყალ-მაყალში
მრავალ გზის გამოწრთობილნი
დღეს კი მტრის შესამუსრავათ
ხელ-და-ხელ გამოწყობილნი.

მოგეცეთ ლხენა, მიიჯრენ
მტერთან უზომო ღრენითა
წაიკაპიწეს ჩოხები
რაინდულ ალმაფრენითა.
ვაქებდეთ „მამულიშვილებს“
მათ ვაჟკაცობა შვენითა,
იმათი მოხდენილობა
არც გამოითქმის ენითა.

ერთსა დაედო ათასი...
ეს ხომ მამაცთა წესია?
სცემენ და სცემენ უწყალოდ
გმირები დანალესია,
გაისმის ძლევის ყიჟინა
ვაჟკაცთა დანაკვესია:
„ქართლოსიანთა მუხანათს
ამოუვარდეს ფესვია!“

მაგრამ მტერს საქართველოსას
წამოეშველენ მცველები
და მხსნელებს ივერიისას
მწრაფლ გაუბორკეს ხელები
დაიხსნეს ხეჩატუროვი
ოფლისგან დანასველები...
ოქმში აღნუსხეს ყოველნი
ქართველთა ნასახელები.

ამით დასრულდა ეს ბრძოლა
სხვა ბრძოლათ შეუდარები
სად უკვდავ იქნა ქართველთა
მამულიშვილთა გვარები,
სად დაიცაო მამულის
ორგული გამამწარები
სად ამირეჯიბ გიორგის
გაუღგა [illegible]იშის კარები.

სადა შეიტკბო ლევანმა
სიტკბო დიაცის ხელისა,
სადა დაი[illegible] ოფლები
„ქართველთა დამჩაგვრელისა“
სადაც ძეგლს დასდგამს მყოფადი
სამშობლო ქვეყნის მცველისა
საშვილიშვილო გმირების
სადიდებ სანუკველისა.

ეშმაკი.

ყურ მოკრული საუბარი

(სოფლის ექიმი ქალი ჯაჯიკა და გლეხი მახარობელი)

მახარობელ—დილამშვიდობის ჩემო ჯაჯიკავ!
ამ დილას საით ამგზავრებულხარ

ჯაჯიკა—მახარობელი მიცოცხლოს ღმერთმა,
მე გენაცვალე, შენსას მოვდივარ.

მახარობელ რაამბავია ხომ მშვიდობაა
საქმე ხომ არ გაქვს რამე საჩქარო?

ჯაჯიკა მშვიდობა მოგცეს მამა უფალმა
ცოტა საქმისთვინ გთხოვ მომეხმარო:
ნახორცალ ტყვიის შოვნა მინდოდა
მე ექიმი ვარ მოგეხსენება,
წამლათა ვხმარობ ბუასილისთვინ
და ვფიქრობ თქვენში ვისმეს ექნება.

მახარობელ ბედზედა შეგხვდი, ტუტა იჩქარე,
ძაღლი მოუკლავთ შარაზე ჰგდია
და ტყვია თუ გსურს იმას ექნება
ერთი კი არა, სამ ოთხამდია.

ჯაჯიკა—შენ გენაცვალოს ჯაჯიკა სულში
ხომ ცოფიანი არ იქნებოდა?

მახარობელ არა გეთაყვა, ბერძაღლი იყო
მარა ყველაზე იკბინებოდა.
ხელში რომ საჭმელს დაგინახავდა
მელურათ ფეხ ქვეშ გაგეგებოდა
მარა როდესაც გამოაძღებდი

კაკალ კოჭებში გეტაკებოდა.
ბოლოს თუმც თვალიც ჩამოებრუცა,
ხმაც ჩაუხრინწდა დაგანგალობდა
არიქნა მაინც აღარ გაავდო
და ბოლოს უფრო შემპარაობდა.
თუმც მეზობლებმა ბევრი უთმინეს,
რადგან არც ღირდა ის დასამდურათ,
მარა მარა ბოლოს კი გაწყდა მოთმენა
და ჩააძაღლეს ძაღლი ძაღლურათ.
ჯაჯიკა—ოხ მახარობელ ეგ რა მითხარი?
ის ჩემთვის წამლათ არ გამოდგება
ის წუწკი ალბათ გესლიანია
და ტყვიას ალბათ შხამიც ეხლება.
მახარობელ ეს მე არვიცი, ექიმი შენ ხარ
ისედაც კია იქ მისვლა ზორი
გარს ძაღლები ყავს შემოსეული
მთლათ სოფელს სწამლავს იმისი მძორი
ჯაჯიკა—ღმერთმან დასწყევლოს მისი სახელი...
წუწკი ყოფილა, წუწკათ მომკვტარა,
ტყვიიზა ძაღლებს თავს ვერ დავაჭმევ
შინ გამწი დედავ, არ მინდა არა.

მოშაირე მგზავრი.

შეურაცხყოფილი.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

I

გიჟმაჟი ხტუნვით,
ტრიალით, ბრუნვით,
ქვისაგან ქვაზე
გადმომდინარე,
მოდის, მოქშუის
მთისა მდინარე.

ურთერთს ხდებიან,
ეჯახებიან
ტალღები—ტალღებს;
შემდეგ კრბებიან,
სალი კლდის ძირსა
ეხეთქებიან,
მაგრამ ვერაფერს
გამორჩებიან
და ისევ თავქვე
დაეშვებიან...

* *

უღრანი ტყე სდგას
მთისა უბეში
და ძირს აქა-იქ
წყლისა გუბეში
მოსჩანან შავნი
ჩრდილნი ხისანი,
ცისა ღრუბელნი,
ნისლნი მთისანი,
ხანაც ჩნდებიან
სხივნი მზისანი,
ხან კი—ნადირნი
შავის ტყისანი,
რომ, დაქანცულთა
ტყედ წოწიალით,
თავბრუ დანახვევთ,
კუჭის წრიალით,
ხახა უშრებათ,
წყალს იწყურებენ,—
დაბლა მდინარეს
მოაშურებენ...
და როს ძღებიან
ანკარა წყლითა,
კვლავ რბიან იქით,
მოვიდნენ სითა!..
იქ კი... ქვით—ქვაზე
გადმომდინარე,
მორბის, მოქშუის
მთისა მდინარე...

II

ამაყად, დინჯათ
გადმომზირალი,
შავი და მუნჯი
კლდისა მწვერვალი
მხტუნავს მდინარეს
თვალსა ადევნებს...
მხოლოთ ზამთრობით,
როს ყინულთ მტევნებს
ხის ტოტებზედა
ანქღრევენ ქარნი,—
რბიან, ღმუიან
ეგ საშიშარნი!
ნაძვთა უდგებათ
ყალყზე ფაფარნი
და გაისმიან
გლოვისა ზარნი,—
მხოლოთ ამ დროსა—
ეგ კლდისა წვერი
ყრუა. არ ესმის
მდინარის ჩქერი,
ან —თუ ნადირი,
ყელ-მონაღერი,
ღრიალებს სადმე,
მწყურვალ მშიერი,
ან თუ სხვა რამ ხმა...
აღარაფერი!.
ამ დროს კი, კლდისთვის
თითქოს მძინარე,
დაბლა, ქვით-ქვაზე
გადმომდინარე,
მირბის, მიქშუის
მთისა მდინარე
და ყინულთ მტევნებს,
კლდისგან ნასროლთა,
ატანს თვის ტალღებს,
გიჟმაჟათ მსრბოლთა...

III

ნანგრევი ძველი
წვერზე ამ კლდისა,
უტყვი მოწამე
წარსული დღისა,
ციხე-სიმაგრე,
ეგ ძველის-ძველი,
ჩამორღვეული
მოსჩანს კედელი.
ერთგან კედელში,
სახურავ მჭიდრო,
არის ქვითკირის
ოთახი, ვიწრო;

ეგ სამლოცველო
ყოფილა ძველათ:
ტრაპეზის ნაშთი,
სიწმინდის მცველათ,
ქვაზე—ქვა პრტელი...
(მას კაცმა ხელი,
ხალხისა რწმენით,
არ უნდა ახლოს,
არც ცუდ განზრახვით
მიადგეს ახლოს).

ერთი ხანია,
ვით რაღაც აჩრდილს,
ქვანი ამჩნევენ,
ამ წმინდა ადგილს
რომ შეეკედლა
ვიღაც, ვით ბერი,
სიწმინდის მცველი,
თუ მისი მტერი?!.

დილა ადრიან,
როს მთისა წვერსა
მზე შემოახვევს
სხივს, ოქროს ფერსა,—
აჩრდილი შიგნით
შეიპარება:
სამლოცველოში
შევა, დაწვება
და საღამომდის
ხშირად არც ჩნდება.
მაგრამ, როცა მზე
ჩამავალ სხივებს
მთაგრეხილზედა,
ვით ოქროს მძივებს,
უკანასკნელად
ჩამოარიგებს —
ამ დროს აჩრდილიც
იქ გაიღვიძებს,
გამოდის' ისე,
როგორაც შედის,

და გზას ადგება
ფრიალო ქედის...
სინათლის ზოლი
უკანასკნელი
სწყდება, ხევ-ხუვში
ეშვება ბნელი...
აქა-იქ მხეცი
დაიწყებს ღრიალს,
საძებარზედა
თვალების ბრიალს,
მშიერი, ალმას
კბილების ხრჭიალს;
გველიც კი... გველიც
განაგრძობს სრიალს
და გრილი სიო
ლაღათ სისინებს,
თორემ სხვა ყველა
ამ დროს იძინებს,
ადამიანი
აღარ ღიღინებს...
ლაჟვარდში... ხან-კი,
ხან არ სჩანს მთვარე
და ქვეშ, ქვით-ქვაზე
გადმომდინარე,
მორბის, მოქშუის
მთისა მდინარე...

IV

ირგვლივ ბუნება
ღამის ძილშია,
სოფელიც რაღაც
მკვდრულ დუმილშია
ხან-ხან ძაღლების
უაზრო ყეფა
გაისმის, მაგრამ
ისევ მისწყდება...
უცბათ გამოჩნდა
ერთგან ნათელი,
გამოარღვია
ეგ ღამის ბნელი
და ისევ მისწყდა.
ქოხისა კარებს
ვიღაც შიგნიდან
ხელს მიაკარებს.
იღება კარი
ნელის ჭრიალით,
შედის აჩრდილი
პარულად, მალვით.
„სტეფანე შენა?!“
ხმა ისმის ქალის,
თითქოს ამ მისვლით
უცბათ შემკრთალის:
„ჩემო სიცოცხლევ,
და ჩინო თვალის,
შენ წუხელისაც
ესმა გელოდა:
მთვარე არ იყო,
გარეთ ბნელოდა.

გიცადე, მაგრამ
შენ არ მოხვედი.
იქნებ შეხვდა-თქვა
შავი რამ ბედი,—
მილს ვერ შევეტკბე,
ღამესა ვსტეხდი.
ან კი რას იქდა
საბრალო გული,
ეჭვით, ფიქრებით
შეწუხებული!..
სად გაატარე
ეგ წინა ღამე?
საჭმელ-სასმელი
გებადა რამე?!“.
—მთაში, გენაცვა,
მთაში მეძინა!
იქ უშიშარი
ვპოვე მე ბინა.
თუმც არა მქონდა
საჭმელ-სასმელი,
წამოსვლა მაინც
ვერ შევიძელი“...
ამ სიტყვებზედ
ოხვრა დამწველი
ცოლსა ამოხდა;
თაროზე ხელი
მიავლ-მოავლო
და ქმარს საჭმელი
გამოუტანა,
მჭადი და ყველი:
„აჰა, სტეფანე,
გაიხსენ ყელი!
ესაა მხოლოთ,
რაც შევიძელი,
ჩემი სიმდიდრე
უკანასკნელი“,
ესმის ქმარს ცოლის
სიტყვა გულწრფელი
და მადიანად
ის შეექცევა,
რაც ცოლისაგან
კი მიერთმევა.
ქალი კი ჯდება
კერის იქითა
და ქმარს წმინდა წყალს
აწვდის ჭიქითა.
როცა გათავდა
ესე ვახშამი
წამოდგა ქალი
და ჭურჭელ-ჯამი
მან აალაგა,
დაიდგა სკამი,
ჩამქრალ კერასთან
იგი ჩამოჯდა.
და ამ სიტყვებით
ქმარს მოუბრუნდა:
„ჩემო სტეფანე,

გეუბნებოდი,
რომ შენის ქვეყნით
მწარედ სცდებოდი,
შენ კი შენს აზრებს
არ ეშვებოდი:
ქვეყნის გარდაქმნას
ეპირებოდი,
წირპლიან გლეხებს
თავს ევლებოდი,
სუყველას ძმობას
ეფიცებოდი,
მაგრამ იმ აზრს არ
ურიგდებოდი,
რომ იმათგან შენ
თვით სტყუვდებოდი!..
სუყველაფერი
იმათ შესწირე:
შენი სახლ-კარი,
ფასად—არ მცირე,
მტერმა გახვია
ცეცხლისა ალში;
თითონ შენ მიგცა
მკაცრ სამართალში!
მტრის კლანჭს შემთხვევამ
გადაგარჩინა,
თუმცა რა ვიცი,
რა გელის წინა?!.
და შენი ცოლი,
ამ აზრით მდნარი,
არც ცოცხალია,
და აღარც—მკვდარი!“.
ამ სიტყვებითა,
გულ ამომჯდარი,
სტირის დიაცი,
სდის ცრემლის ღვარი...
სტეფანეს მისთვის
ვერა რა ეთქვა.
მწარე ნაღველი,
როგორც მძიმე ქვა,
გულს აწვებოდა ..
იტანჯებოდა...
მაგრამ, რა ეთქვა?
რისგან დაეწყო
რომ ცოლის გულის
ქენჯნა დაეცხრო?
კარგი ქნა ყველა,
რაც განიზრახა,
თუმც მისთვის ჭირიც
უსაზღვრო ნახა.
უეჭველია
მას მომავალი
მოიხსენიებს;
განვლილი კვალი,
ეგ გადახდილი
იქნება ვალი!
მაგრამ გასტანჯა
საბრალო ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს აგონებს...
მწარედ აგონებს...
ნაღველი-ნაღველს
მოემატება:
კვლავ ესმის ცოლის
მწარე ყვედრება:
„გამოგველია
სუყველაფერი!
აწ უნდა ვიჯდე
მწყურვალ-მშიერი...
დახმარებისთვის
ვისაც მივმართე,—
ძუნწი აღმოჩნდა,
სიტყვებით ფართე!
ჩვენზე სუყველამ
გული იცრუა.
დავრწმუნდი, კაცი—
კაცთან რომ სტყუა!
ჯერ დახმარებას
შეგპირდებიან,
მყის ივიწყებენ,
როს გშორდებიან.
ესეც, ერთობა
და სიყვარული,
ურცხვად გაკიცხულ
დავიწყებული!..
გუშინ ჩვენს სოფლად
მოხდა ყრილობა:
შენზე ყოფილა
მოწერილობა,
შენის შეპყრობის
მკაცრი ბრძანებით,
და სოფელს სთხოვენ
ძალდატანებით,
რომ მან, თუნდ სული
ამოიწვადოს,
შენის შეპყრობის
პირობა დასდოს
ან და ჯარიმა
გარდაიხადოს!
შენი აქ ყოფნა
ჯერ არ იციან,
თორემ ჯარიმას
რათ გადიხდიან!!!"
ასეთი მწარე
მუსაიფითა
გავიდა ღამე
და მთას იქითა
ამოიმართა
მკრთალი ნათელი;
სტეფანემ თოფსა
დასტაცა ხელი,
ცოლსა უნდობლათ
გამოეთხოვა
და ქოხის არე
მან მიატოვა...
და როს კლდის წვერსა
მზე გადეხვია,
ნანგრევს სტუმარი
ისევ ეწვია.
დღეს დაუბრუნდა
ხევი, მძინარე,
მზე სხივებს აფრქვევს,
პირ-მომცინარე,
ქვეშ კი... ქვით-ქვაზე
გადმომდინარე,
მორბის, მოქშუის
მთისა მდინარე...

ნ. ზომლეთელი.

(დასასრული იქნება)

,,ვარსკვლავის" რედაქციაში.

(პატარა სურათი)

რედაქტ. ბ-ნებო! ეს არაფერს არა გავს. სხვას რომ თავი დავანებოთ, იმ წყეულ ეშმაკს ვერ გადავურჩებით. ამბობენ, იმან ბევრი ხათრი არ იცის, მოგვდგება და გამოგვლანძღავსო.

კორექტ. მერმე რაზე უნდა გამოგვლანძღოს? ჩვენ ვისთვის რა დაგვიშავებია? ჩვენთვის ვმუშაობთ და გაზეთს ვუშვებთ. მადლობა ღმერთს, რომ მესამე ნომერი მშვიდობით გამოვიდა.

რეპორტიორი. რაღა მშვიდობით ჩემო ძმაო, რამდენი სიტყვაა, იმდენი კორექტურული შეცდომაა. გაზეთი ლობიო კი არ არის, მოურიო კოვზი და გაკეთდეს.

რეპორტიორი. მიკვირს სწორეთ თქვენი საქმე, მე ორჯერ-სამჯერ ჩავათვალიერე და ვერაფერი ვნახე. მაინცა და მაინც თქვენ როგორ შეგეჩხირათ ხოლმე თვალებში?

რეპორტიორი. შე კაი კაცო, საწყენათ კი არ მითქვამს. გაფრთხილებ, იმ ბოროტმა სულმა არ გაგვიგოს მეთქი და ქვეყნის სასაცილოთ არ გაგვხადოს, თორემ სხვა არავითარი აზრი არ მამოქმედებს. აი წაიკითხე:

ყვირილაში ქეიფის დროს ალექსანდრე ქურციკიძემ შალიკო ნიორაძე მოკლა. მკვლელი დააპატიმრეს. გამოძიება ნარწოებს.

აბა ერთი მითხარი თუ ძმა ხარ, რას ნიშნავს სიტყვა. "ნარწოებს"? განა მარტო ესა? აი იქვე სწერია:

„ბაზრის გადასახადი ჯერ არ შეუკრებიათ, მცხოვრებლებმა იჩივლეს ქუთაისის გუბერნიის სასამართლოში (პრისუტსტვიეში), მარა ჯერ პასუხი არაა.

ვინ გითხრა ,,პრისუტსტვიე" სასამართლოს ქვიაო?

კორექტ. მაგი ჩემი დანაშაული სულაც არ არის. ორიგინალში ასე იყო და ჩემი რა ბრალია.

პირ. თანამშრ. რა სადაო საგანი თქვენ გამონახეთ. რასაკვირველია რედაქტორს შეიძლება შეცდეს და გაეპაროს შეცდომა, მაგრამ კორექტორი რაღა მოხელე ნაჩალიკია თუ ვერ გაასწორებს?

მეორე თანამშრ. ამხანაგებო, მარტო კორექტორის ბრალი როგორ შეიძლება იყოს ყოველი. აი თუნდა ,,საყურადღებო ამბებში" სწერია:

ტფილისის სამოქალაქო სასამართლომ აღძრა შუამდგომლობა ნამესტნიკის წინაშე და სხ. და სხ.

გუშინ ქუთათური ეშმაკი შემხვდა და მითხრა: ვაი თქვენი ბრალი, თუ ეს მთავარმა ეშმაკმა გაიგოო. ვინ გაიგონა ასე ძახინჯი თარგმანიო. რა ღმერთი გაგიწყრათ და ყველაფერს ,,სასამართლოთ" თარგმნითო. ქალაქის საბჭომ დაადგინა და თქვენ **საბჭო** სასამართლო გგონებიათო.

რედაქტ. ვაიმე ძმებო და ამხანაგებო! ამას უთუოდ გაიგებს ის წყეული სული ჯოჯოხეთისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპორტ. მაგი რა არის, თქვენ უნდა გენახათ გუშინდელ მოწინავეზე რა ლაპარაკი იყო ატეხილი. რაღა დაგიმალო, ამბობდენ მაგათ ბატები უნდა ამწყესვიოთ, თორემ გაზეთი რა მაგათი საქმეაო. აი თუნდა წაიკითხეთო, ყვიროდენ. კითხულობდენ და იცინოდენ:

„საშინელ ამბებს ვკითხულობთ ყოველ დღე ხოლერის გაძლიერების შესახებ. ის თავისს მთელი საშინელებით მძვინვარებს პეტერბურგის, არხანგელის, კრონშტანდის, ფილიანდიის, ვიბორგის და რუსეთის გუბერნიების სხვა და სხვა ადგილებში“.

ისეთი სიცილი შეიქნა ამხანაგებო, რომ თმა ყალყზედ ამიდგა. ბოლოს ერთმა „გოროდისტმა“ წამოიძახა: ვინცხაა მაი „პარდონი“ რუსეთი უთუოთ კრონშტანდის გუბერნიაში გონიაო“.

რედაქტ. ეს შეცდომა, თუ დამიჯერებთ, სრულიად სტილისტის ბრალია და არა რედაქტორის ან „პარდონის“.

სტილისტი. (გაცხარებით) რაიზა აწი? იმ გოროდისტს ქე უსტავლია გეომეტრია და მე არც კი გამიგონია. საიდან მეცოდინება, რომელი გუბერნია რომელ გუბერნიაში ან რომელ ქალაქშია? თუ რედაქტორმა არ იცის, მე რატომ უნდა ვიცოდე?!

„პარდონი“ ამხანაგებო! მე ეს ისე ნაჩქარევათ დავწერე და გუბერნიებისთვის სულაც არ მიმიქცევია ყურადღება. ან კი რა, ვერ მივმხვდარვარ, რა საჭიროა აქ გეოგრაფია ეს გუბერნიები. ჩვენ ხოლერაზე ვწერდით და არა გუბერნიებზე.

რედაქტ. ეს რასაკვირველია ასეა, მარა საქმეს მაინც უნდა ვუშველოთ რამე. ჩვენ უთუოდ უნდა შევცვალოთ სამსახურები. რეპორტიორს მინდოს კორექტორობა, კორექტორს რეპორტიორობა. სტილისტი დადგეს მდივნათ, მდივანი სტილისტათ. რედაქტორი ჯერ-ჯერობით რჩება თავის ალაგას. (უცებ კარები იღება და შემოდის ეშმაკი) რედაქციაში მკვდრული სიჩუმე ჩამოვარდა. მოსალოდნელია დიდი უბედურება.

ფერმის-ძირელი.



ორი ეშმაკი.

ბარგ. რატომაც არა? შეიძლება კაცმა საქმის გულ-შემატკივრობით უწმაწური სიტყვებიც იხმაროს.

მეორე. მერმე ეს რა „საქმის გულ-შემატკივრობა“ არის, გამოხვიდე და დამსახურებულ მსახიობ ქალს დედა შეაგინო?

ბარგ. კარგი ერთი თუ ხათრი გაქვს! არ წაგიკითხავს ნანობაშვილის წერილი? ის მხოლოდ „აფურთხებდა“ თურმე ქართული თეატრის საქმეებს, თორემ დედის გინება აზრადაც არ გაუტარებია.

მეორე. მაშ რატომ ამბობს ცაგარლის ქალი, რომ დედა შემაგინაო?

ბარგ. Очень просто, მას ყურთა-სმენა აკლია და მოეყურა. სმენა ადამიანისათვის ძლიერ საჭიროა.

მეორე. კარგი, მაგრამ სხვა თუ ყველაფერი კარგათ გიგონა, რასაც ნანობაშვილიც მოწმობს, რაღა ამ „დედის გინებაზე“ უტყუა სმენამ.

ბარგ. Очень просто! ცხადია, თუ შეაგინა ნანობაშვილმა, არც ისე ხმა მაღლა შეაგინებდა, მაგრამ ის ისეთი კაცი არ არის, რომ მანდილოსანთან უწმაწური კილო იხმაროს.

მეორე. მაშ მისი მოწმე ბ-ნი შალიკაშვილი რატომ უდასტურებს?

ბარგ. რას უდასტურებს?

მეორე. როგორ თუ რას? აი მისი სიტყვები: „ნანობაშვილს პირადი შეურაცხყოფა არ მიუყენებია ცაგარლისათვის და თუ წამოსცდა რამე უწმაწური, ეს შეეხებოდა წარმოდგენის საქმეს“. როგორც სჩანს ნანობაშვილს წამოსცდენია რაღაც „უწმაწური“.

პირველ. ჰო და აი ეს უწმაწური სიტყვები ცაგარლის ქალთან კამათში მას საქმის სიყვარულმა და „ქართულ თეატრისადმი ეროვნულ სიძსახურმა“ გაბედვია.

1, მოწმობა მაღალ ან საშვალ სპეციალ სასწავლებლისა, სადაც სწავლობს ან ეპირება სწავლას მთხოვნელი.

2, მოწმობა სასწავლებლისა, რომელში უსწავლია მას უწინარეს მაღალ ან საშვალ სპეციალ სასწავლებელში შესვლისა, ან შესვლის სურვილის გამოცხადებისა.

3, მოწმობა სიღარიბისა შესაფერი მთავრობის ორგანოთაგან მიღებული.

4, მოწმობა წლოვანობისა დღიდან წმინდისა ნათლის ღებისა.

უცხოთა ინტერესებს იცავენ!

უცნაური ამბავი.

ორი სტიპენდია.

როგორც გაზეთები აცხადებენ განთავისუფლებულა ორი სტიპენდია, ანუ „უპროცენტო ვალი“ ძმათა ზუბალაშვილებისა. სტიპენდია მიეცემა იმათ, ვინც სწავლობს ან ეპირება სწავლას მაღალ ან საშვალ სპეციალ სასწავლებელში. სტიპენდიის მისაღებად საჭიროა შემდეგი მოწმობები:

5, მოწმობა ყვავილის აცრისა.

6, მოწმობა ხოლერის აცრისა, უკეთუ მთხოვნელი პეტერბურგისაკენ ეპირება.

7, მოწმობა ქორწინებისა ანუ ნიშნობისა.

8, მოწმობა მაგარ სასმელთადმი მიდრეკილებისა.

9, მოწმობა შესახებ პაპიროზის წევისა და ბურნუთის ხმარებისა.

10, მოწმობა კეთილ-საიმედობისა ვალის გადახდის მხრით.

11, მოწმობა შესახებ მამულის სიყვარულისა.

12, და კიდევ რამოდენიმე წვრილმანი მოწმობა წმინდა ,,სპეციალი'' ხასიათისა.

იმედია მთხოვნელი ბევრი გამოჩნდება, მაგრამ ღირსეული კი მცირე.





ᲙᲐᲠᲣᲪᲚᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ. ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ. ᲪᲝᲢᲐ ᲓᲐᲚᲘᲔᲗ, ᲚᲐᲚᲘᲫᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ ᲮᲘᲚᲘᲐ.

ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲐᲓᲒᲘᲚᲘ.

ცხოვრების კზასა კაბედვით
დაგდექ... მიმესარდა,
ოცნებით ადტენებულსა
მხიდოთ წინ მიმეჭქარდა.
მსურდა ძდიერა, რომ თითონ
მენახა ჩემი თვდითა,
ტანჯული ესე ქვეყანა,
დამტკბარი მომავლი!
ეიმედობა სად იო,
ან გუდის სუსტად ძკერანი?
კზა მაინც კამოგრძედდება,
ვხედავ, მრავლის წედითა!..
თან აგედგენე ოცნებას
უფხო რამ წადგოტისკენ!
არ ვიცი, სათ წავედითო?
მგონია, უფრო-ტისკენ!
მშვენიერება რამ იო,
რასაც შორიდან ვხედავდი,
მაგრამ ჩუ! უცბათ კზა შესწედა,
კანგრძობის ვედარ ვბედავდი.
სუშეში იო, სუშეში
ის, რაც წინ კგედობებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავბედსა დაიწეეგდიდ,
ვინც იმსს კაკეგრეთ.
დავხედე,—ვიცინ ეკადი,
კაშაშვერიდი წვეტებით,
ცა კი... ცა შარს... შარს მოსჩანდა
მზისა ნათელი სვეტებით!...

ნ. ზომლეთელი.

დაბა-სოფლები.

ფოთი. ძლიერ გაჯავრებული არიან ქ. „ანეტას“ დამცველები „მთრახ-სალამურის“ № 2-ში მოთავსებული კორესპოდენცია „ჰეხუ და კოსტას“ გამო. ხაზეინებმა კირილე ჭყონიას მეთაურობით დაადგინეს, რომ მეორეჯერ აღარ გაბედონ ანეტას გაზეთში ჩაგდება, რადგან ის გალანძღვის ღირსი არ არისო, ის წინეთ მუშების მომხრე იყო და თუ ამ ბოლო ხანს ცოტა გამოიცვალა (ერასტო მოისრაპეიშვილის ჩაგონებით) რა უყოთ, დრომ მოიტანაო. როგორც გავიგე, კირილეს კუდი იმიტომ ეწვის, რომ ორი ხაზეინი ბ. კოსტა და ქ. ანეტა გაზეთში ჩაადგეს, ცხლა ჯერი მაზე მიდგა და სანამ მის საგმირო საქმეს გამოამეზეურებდენ, უნდა როგორმე ჩააფუჭეროს საქმე.

კაცმა რო სთქვას ცოტა აპალოს და ერასტოსაც ეშინია, რადგანაც იმათაც მიუძღვით ღვაწლი ქ. ანეტას ქარხნიდან მუშების დათხოვაში, ჩვენ არაფერ შუაში ვართო ამბობენ, მარა „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს“.

აქაურმა ხე-ტყის ქარხნის მუშებმა მიბაძეს პეტერბუგელ მუშებს და გახსნეს კლუბი. იქირავეს აკაკი გუნიას სახლი და ყოველ შაფათობით იმართება კარტის თამაში, ზარი და სხვა, წეკრებათ სხვა გარეშე პირსაც ღებულობენ, მხოლოდ მუშა უნდა იყოს.

ხაზეინებმა დაადგინეს, ვინაიდან მაინც კარტში და ღვინოში ფლანგვენ მუშები ფულს, მხოლოთ სახარჯოთ თითო მანეთის მეტი არ მიეცენ შაფათობით; ამ დადგენილების განხორციელებას შეუდგა სამსონა ჭყონია და მისი კომპანია.

ხე-ტყის ქარხნის მუშებზე შემდეგში ეცლათ მოვილაპარაკებთ.

ნ. ორაგვისპირელი.

—

სუფსის რაიონი. ბევრი, ძალიან ბევრია, ძმაო ეშმაკო, ჩვენ კურთხეული რაიონში გასაოზგავი გვამები, მეტადრე მათ რიცხვს უფრო მიემატა მას შემდეგ, რაც თქვენმა უეშმაკეულესობამ დროებით ჩვენი კურთხეული მათრახის მოქმედება შეაჩერა, მაგრამ ყველა მთგანი რომ ჩამოთვალო, მათ გამათრახებას რაც ქუთაისის გუბერნიაში მედროგეების მათრახია, ის ვერ აუთავდება და შენ როგორც ვიცი ამდენს ჩვენთვის ვერ მიიცლი, ამიტომ ვეცდები, მთავარი მათგანი გამცნო და იმედი მაქ, შესაფერად დამიჯილდოვებთ. სად. სუფსაში მოვაჭრე ჩარჩებმა ოსმან კერეჯოღლიმ და ი. ხომერიკმა მთელი ნახევარი წლის ქალის და კაცის ნაშრომი აბრეშუმის პარკი ნახევრის ფასათ ჩაიგდეს ხელში გაუვერებულ გამყიდველებისაგან. ამ ბ-ნებმა იმ დროს, როცა ორი და სამი ფუთობით შემოდიოდა პრკი ბაზარში 16—17 მანეთამდის აძლიეს ფუთში, ბოლოს როცა ერთ უქმე დღეს მთელი ადგილობრივი პარკი გამოვიდა ბაზარზე გასაყიდათ დაახლოვებით 1200 ფუთამდე, რომლის არც სხვაგან წაღება ესწრაბოდა და არც გაჩერება 14 მან. მეტი კაპეიკი არ მისცეს—„ტელეღრამა“ გვაქვს „მარსელიოზიდან“ და მეტის მიცემა არ შეგვიძლიაო, იმ დროს, როდესაც სხვა ბაზრებზე ქუთაისის გუბერნიაში ამ დღეს პარკი 16 და 17 მან. იყიდებოდა. ერთი მისცხე ამ ბატონებს შენი კურთხეული მათრახი და უთხარი, წელს კი გაატყავეთ სამრალო ხალხი, მაგრამ მომავალში ტყვილად რომ გადაყარონ თავიანთი პარკი, თქვენ სიახლოვეს არ გაგეკარებათქვა. სუფსაშივე შეხვდები დაჯილდოვებულ ახალგაზრდა ყმაწვილს ატატოსთან მოსეირნეს, რაც ძალი და ღონე გქონდეს მასაც მისცხე შენი მათრახი და იქნებ მიხვდეს, რომ მისი საქმე სამსახურის ასრულებაა და არა დალაქობა და ბრუნდ და მართლის თავის კრეკვა. შეიძლება მას ამბეგი მოეხმაროს, მაშინ მასაც გაჰკარი, უთხარი ამგვარ კაცებთან კავშირის დაჭერამ გიქნა, რომ ნატანებში „ბერკეტი“ (ბოიკოტს ვერ მიხვდება) გიქნეს და საფუძველი აგიყარესთქვა.

სად. ნატანებში ჩილინგარიანის ხე-ტყის ქარხანაში ნოქარი ამბაკო მაღულარია სწორეთ ცუდ დღეს აყენებს მუშებს, ეს ვატბატონი ხაზეინის ერთგულობა რომ გამოიჩინოს, არავითარ საზზღარ საქმეს არ თაკილობს, ვთქვათ ხაზეინმა დაი-

ქირავა დღიური მუშა და გაურიგდა ექვს აბაზათ. ის სადამოს ოთხი აბაზის მეტს არ მიაცემიებს, ესეც მეტია ბ-ნო მისთვის, ჩვენ რომ სამუშაო არ მიგვეცა, ტყვილად უნდა გაჩერებულიყოვო. უცხო მუშებს ახლოს არ იკარებს. მოყავს თავის სოფლიდან ყრუ გლეხები და როგორც უნდა იმ პირობებში ამუშავებს, შიგ ხავოდში მუდმივ მომუშავებს „დურმიშხანული" საქციელით უმასპინძლდება, მიდის ხაზეინთან და ეუბნება, ეს და ეს სოციალისტია, შეგნებულია და თუ არ დავითხოვეთ საქმეს წაგვიხდენსო, რასაკვირველია შემდეგ ხაზეინიც ეჭვის თვალით უყურებს მას და ყოველ ფეხის გადადგმაზე შენიშვნებს აძლევს და დათხოვნით ემუქრება. იმედია, ასეთ გვამს წილხდომილზე მეტს უცხუნებ შენს მათრახს.

ნატანებშივე ისედაც დამონავებული რკინის გზის მუშები ბ-ნ მელიტონ დოლიძის მეოხებით კიდევ უფრო დაიმონავეს მათმა უფროსებმა. ამ დღეებში აქ მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს თავიანთ უფროსთ, რომლითაც მოითხოვდენ ცოტაოდენი პირობების გაუმჯობესებას, ადგა ბ-ნი მელიტო და ურჩია უფროსებს, თუ ამა და ამ მუშას დაითხოვ, დანარჩენი მუშები კრინტსაც არ დაძრავენო და მართლაც ნაცვლად მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა ორი-სამი მუშა ქუჩაში ულუკმაპუროთ გამოაგდეს. ერთ მათრახს მელიტონისათვისაც ნუ დაიშურებ, ახალგაზრდა კაცია და მოხუცებულობის დროს მაინც იქნებ თავი დაანებოს ამ ხელობას.

სოფელ მიქელგაბრიელში მამედ-ბეგ წულუკიძე (მამასახლისია) ბრუნდია თუ მართალი, ვინც მივა მასთან რამეს სათხოვრათ, ყველას შენებურათ უმასპინძლდება. ამის გამო საზოგადოებამ სოფლის კანცელარიაზე მიაკრა განცხადება შემდეგის წარწერით: „შემოხვალ ინანებ, არ შემოხვალ მაინც ინანებ", ერთი შედი ძმაო ეშმაკო ამ კანცელარიაში და თუ მოასწრო შენც გაუმასპინძლდი შენებურათ ბ-ნ ბეგს და იქნებ რომ გაიგებს თვითონ მათრახის სიმწვავეს სხვებსაც აღარ დაარტყას. დანარჩენებზე შემდეგ.

შენი კასიო.

—

სამტრედია. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ამ ახლო მომავალში სამტრედიის რკინის გზის დეპოს მემანქანეები და თანაშემწეები აპირობენ სიეზდის მოწვევას, რათა განხილულ იქმნას შემდეგი კითხვები: 1) გადატანილ იქნას სადმე მოშორებით სადგ. ხესტაფონი და ფოთი, რადგანაც მანძილი სამტრედიიდან ძლიერ პატარაა და „საევერსტო" ცოტა კეთდებაო, ხოლო ბათუმი დროებით დატოვებულ იქნას ძველ ადგილას. 2) ეთხოვოს ვისაც ჯერ არს, რომ რვა საათის დასვენება მატარებლის მოსვლის შემდეგ შემცირებულ იქნეს ერთ საათამდე. 3) გაკეთდეს ორთქლმავალზე სამიკიტნოები. 4) თანაშემწის ქეზლით თავის გახეთქა მემანქანის მიერ ფასდებოდეს არა 50—100 მანეთი, არამედ ნახევარი დიუჟინი წითელი ღვინო და სამი რიუმკა არაყი. (ამ კითხვის გარჩევის დროს მემანქანეებს განზრახვა აქვთ, კრებიდან დაითხოვონ თანაშემწეები აზრთა შეჯახ-შემოჯახების თავიდან ასაცილებლათ). სიეზდზე დასწრების უფლება მიეცემა ყველას, ვინც სამ ბოთლ ღვინოს და ნახევარ ბოთლ არაყს მოიტანს, მხოლოდ ლაპარაკის უფლება მიეცემა იმას, ვინც თავის „რეჩს" დედის გინებით დაიწყებს და ამითივე დაამთავრებს. ფიქრობენ, რომ სიეზდი უმათრახოთ არ გათავდებაო და ვნახოთ რა იქნება.

—ჭო.

—

სვირი. რაც უნდა გამხდარი და სუსტი აგებულების იყოს კაცი, როცა ის ცოტახანს „წაიმამასახლისებს", უეჭველათ კისერი გაუსქელდება. სვირელი გლეხები კი ირწმუნებიან, რომ სვირის მამასახლისმა წაქაძემ კოკორა მანეთიანები გადაადნო და ქონის სახით კისერზე შემოიდოო. თუ ეს მართალია, ისიც მართალი იქნება, ვითომც ასეთი სისუქნე სენათ გადაიქცევა და კისერში მოუსწრებსო. კარგი იქნება მათრახით კისრის მასაჟს გაუკეთებდეთ.

გ. ამილახვარი დარჩა ნიჟარაძის მემკვიდრეთ და სვირის სადგურთან მიწის მოიჯარადრე ვაჭრებს ძველი პირობები დაარღვევინა და ახალ, ზედმეტ ფასებიან პირობებში ჩაითრია ვაჭრები. მეორე ამილახვარი კი სვირის სადგურის ზედამხედველის თანაშემწის თხათ მოვლინებულა. ერთ დუქანში ბრინჯს მიირთმევს, მეორეში მარილს, მესამეში კიდევ სხვა რამეებს. შემდეგ სადგურზე ხილის გამყიდავ პატარა ბავშვებს დესერტს ჩამოართმევს ხოლმე „სწორეთ მეორე ამილახვარი გაგვიჩნდაო", ამბობენ ვაჭრები. თხის რა მოგახსენო და თხის პატრონს და კეთილშობილ გ—ს კი ეკუთნის მათრახის ბოლო.

ორ სოფლელი.

—

სამტრედიის რაიონი. ვასრულებ დაპირებას და გწერ ცოტა რამეს აქაური უფროსი ფერშალის შესახებ. ბოროტი ენები ამბობენ, უფროსი ფერშალი „განდიდების მადით" არის ავათ, ამხანაგებს „ნაჩალნიკურათ" ეპყრობა, თავი ჩინეთის ბოგდი-

*) წარმოიდგინეთ მღვდლობაც ასეთ კეთილ გავლენას ახდენს.

ეშმაკი.

ხანი გონია, თითქო ამხანაგებს ის ძალიან ეჯავრებოდეთ, მაგრამ ყველა ეს ხმები თავიდან ბოლომდე სიცრუეა, ჩვენ მაგის მზგავსი არაფერი შეგვიმჩნევია. მართალია ხანდისხან, როცა ავათმყოფთან მიიწვევენ, მოუცლელობის გამო ვერ ნახულობს, მარა სამაგიეროთ მეორე ან მესამე დღეს მიდის სანახავათ, თუ ამ ხანში არ გარდაიცვალა, და თუ გარდაიცვალა მისი რა ბრალი იქნება.

— ამას წინათ ახალგაზდა „შანტაჟისტებმა“ აქ წერილები დაარიგეს „სადრამო“ გადასახადის მოსაკრეფათ. ერთ წერილში სწერდენ 200 მ. კოწია კიკაჩიერშვილს გარდაეცითო. რამდენიმე ხნის შემდეგ მოისურვეს კოწიას ნახვა და მივიდენ მის დუქანში, მაგრამ კოწიას უკვე აელაგებია თავის ბარგი-ბარხანა და სხვაგან გადასულიყო. რაკი დუქანში არავინ იყო და ზოგიერთი საქონელი ჯერ კიდევ გადატანილი არ იყო, „ძმაბიჭებმა“ თავისთვის დაუწყეს ზიდვა. ეხლაც ეძებენ კოწიას, მარა ჯერ კიდევ ვერ მიუგნიათ.

პატარა ბზიკი.

—

ნიგოითი. შესანიშნავი ამბები ჩვენში ბევრი ხდება, პატივცემულო ეშმაკო, მაგრამ ყველაფრის აღნუსხვას ჯერ-ჯერობით ვერ ვბედავთ.

ვინ არ იცნობს ამირინდოს, რომელმაც კარტკამაღლის თამაშში ხელოვნურათ გაწვრთნა ნიგოითის ახალგაზრდობა, რომლებშიაც პირველობა ჩარჩ ლევანას ეკუთნის. მაგრამ მას შემდეგ, რაც მობეგვის სბას აფთიაქში ლევანამ კარტის თამაშს თავი გაანება, ხოლო ამირინდოს სახსარი, რომლითაც სათამაშო ქანქარს შოულობდა, მოესპო, ასეა თუ ისე, ესენი ეხლა ისტორიას ეკუთნიან, ხოლო მათი ალაგი ეხლა სხვებმა დაიპირეს,

ერთ „მშვენიერ“ ცხელ საღამოს
(ამ ჟამად არ გრილი ჩვენში)
ჩვეულებრივ თამაშობდნენ
კირილესა კაბინეტში...
მეც იქ გახლდი შეუმჩნევლად
თედო ატას ვედექ გვერდში
ქანქარს ჩხრიალი გაჰქონდა
ერთი მეორის ჯიბეში.
იქ არ იყვნენ უმთავრესნი
ლიგის წევრი ორის მეტი,
იყვნენ ხხოლოდ წაწილები
ყმაწვილები ენა-მეტი.

ამ დროს მათთან მყოფი ალისტრახო და ვასილ პაღურის კვრით კარში გამოაგდეს, არ ვიცით, რა მოსაზრებით ქანქარის სიკოტავე შეატყვეს თუ სხვა უიმედობა. მეპაღურეობა, ეს კირილეს ხელოვნება და ამ შემთხვევაშიც ეს როლი კირილემ შეასრულა; არ გასულა ბევრი ხანი, რომ მაკარის 25 დე ქანქარს წირვა გამოუყვანეს, თედო ალის 110 ქანქარსაც მალე წესი აუგეს და ასე რაკი ყველა საკბილო აიფცქვნეს კირილემ ყმაწვილების მოშორებით დაჯდა და პაპიროსი გაბოლა. მარტო კარტის თამაშზე კი არ არის მართლა გადაგებული ჩვენი კირილე, მას ძღვენიც ხშირათ მოსდის და ამის შესახებ ,,ოფლელი ბიჭები ასე მღერიან:

ორიოდე ხაპაპური
ორი ცივი დედალიო
კირილესთვინ მისართმევი
მისი კუჭის წამალიო.
ერთი ბოთლი არაყი და
ცხრაი ღერი ჯანჯუხაო,
სხვას მიუძღვნა და ვასილს კი
სახლში კუჭი გაუზმაო.
საქმე ასეა და იმედია მოხედავთ ნიგოითსაც.

თქვენი სოფლელი.

—

სად. კარაკლისი. ამ დღეებში კარაკლისის ბუფეტის მოსამსახურეებს მოეკლინა ახალი ხაზეინი ბ ნი გუგუნავილი. მისი პროგრამა ს ძალით დათხოვნილ იქნენ გურული მოსამსახურეები, როგორც არა საიმედო პირები. სამაგიეროთ მიიღებს მხოლოთ მაშინ, თუ გურიიდან მოწმობას მოიტანს, რომ ის სტრაფნიკათ იყო და საიმედო პირია.

მ. გაგურელი.

—

ს. ხიდისთავი. აქ ერთი საარაკო ამბავი პოხდა, რაკაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია, უმეტესათ მანდილოსნებში. ერთ მანდილოსანს პარკი ჩამოუტანია გასასყიდათ ხიდისთავში. წონის დროს აღმოჩენილა, რომ ზოგი პარკი ქვათ ქცეულიყო. მანდილოსანს შეეკითხენ როგორ მოხდა ეს, ან ვინ იყო. ქვის შესახებ ვერაფერი პასუხი მისცა, ხოლო თავის ვინაობაზე კი განაცხადა, ცხომელიძის ცოლი ვარო, როცა შეეკითხენ რომელი ცხომელიძისო, განაცხადა ცხომელიძის კი არა, ცხომელიძნებისო. შემდეგმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ მანდილოსანი სტყუოდა და ცხომელიძნების კი არა, ვიღაც სხვა ერთი კაცის ცოლი იყო. როცა ეს ამბავი გაიგეს ცხომელიძნების ცოლებმა, ერთი აურ-ზაური ასტეხეს, როგორ თუ ჩვენი ქმრები მიითვისაო და ერთ ამბავს უპირებენ. თუ არ წამოგვეშველეთ მათრახით, სისხლის ღვრა მოხდება.

ციცუნია.

—

ხონის რაიონი. ხონის სამკითხველოში გაზეთის მუამელი გაჩნდა. დღეში ორ-სამ გაზეთს მიირთმევს.

— ამას წინათ აქ სეირნობა გამართეს ქ. შ. წ. კ. გ. ს. ხონის განყოფილების სასარგებლოთ. ამისთანა ამბავი ჯერ არ მინახავს. ოთხი ი—ი დამთვრალიყო და საუცხოოთ მღერიდენ: «Всѣ говорятъ, что я пропиваюсь, всѣ говорятъ, что ведра напиваюсь».

— ხონის ახლად აშენებულმა თეატრმა ჯერ ვერც კი მოასწრო გაფურჩქნა, ისე შესწირა ზეარაკათ თავი ტანჯულ ხალხს. ის დაბეტდა ბოქაულმა. მიზეზი შემდეგი ყოფილა: ადგილობრივ „დროების“ პუბლიცისტს „დროებაში“ ხონის თე-

ატრზე მოწინავე წერილი გამოუცხვია და მოუხსენებია, რომ თეატრი ახალი არისო. ქუთ. გუბ. გაუგია, რომ თეატრი ახალი არისო და დაბექდა.

— დროებით შესწყდა ქალაქის ბაღში ლორების სეირნობა, რადგანაც იქ დილიდან სალამომდე არშიყობაა გამართული.

— მათხოჯის სამკითხველოს თავი მოუწამლავს, რის გამო მძიმე ავათ არის.

— კუხელ ხარიტონ მღვდელს სიზმარი უნახავს და საბოლოოთ დაუკარგავს იმედი საჩივრით გზის მოგებისა.

— ივანდიდის ეკლესიას ივანდიდის ქონებისათვის კონფისკაცია უყვია.

— ხონის ბილიარდს 450 წევრი მოემატა. ეს მომატება გამოიწვია კანიკულებმა.

— რადგანაც ს. კონტუათის მცხოვრებლები სამკითხველოს ეძებენ, რომელიც ქ. შ. წ. კ. საზოგადოებამ გახსნა აქ.

ხ.... ხ....



შ ა რ ა დ ა.

სამი მარცვლისგან შესდგება
ეს ჩვენი მოკლე შარადა,
ვინც იფიქრებს და ვერ ახსნის
არა ღირს ერთ გროშ ფარადა.
პირველსა ნაწილს თქვენგანი
ყველა ნახავდა ხშირადა;
შინაურია ცხოველი,
რძე შეუშრობი პირადა.
ამა სახელსა წინიდან
ერთ ანბანს მოუსწყვეტთ მხოლოსა
და შარადისთვის მოიხმართ
რაც გადარჩება ბოლოსა.
სიტყვის ნაწილი მეორე
ორი მარცვლისგან შესდგება
მწერს ჰქვია ერთობ უჩინარს
თხემლისა ფიცარს ედება;
ღრღნისა და ხვრეტავს უწყალოდ
დაბლა ჩამოყრის მტვეროსა
ძნელად დაიჭერს ოსტატი
ამ მავნეს, გასაშტეროსა.
ორივე ნაწილს თუ შევკრავთ
ნივთის გამოვა წოდება ..
ვინც მას ატარებს, მკითხველო,
უთუოდ შეგეცოდება

წინეთ აქა-იქ ვხედავდით
დღეს კი გახშირდა ტიალი..
ძნელათ გაივლი ქუჩაში,
არ გესმის მისი ჩხრიალი
პატრონი არა ყიდულობს,
არც მოსწონს მისი ტარება...
რო გამოიცნობ, იცოდე
მერმე შენც შეგეზარება.

კოლო.

ხ უ ც ე ს ი.

(ვუძღვნი ს. ც-ძეს)

ღვთის კაცი ვარ, სულ ვლოცულობ,
მიტომ არ ვარ ხალხის მტერი, —
ვერა ხედავს უბირი ბრბო
რომ მას ტყავი გავაძერი·

—

როს ვქადაგობ ყურს მიგდებენ,
მოწიწებით თაყვანს მცემენ.
ავ-კაცობას ვინც დამწამებს
კეტებითა მასვე სცემენ

—

ფარისევლურად ვექცევი,
მეძახიან მაცხონებელს,
ასეც არი ჩემსკენ ვითლი
იმათ საზრდო-საცხოვრებელს.

—

მკვდარს საფლავში ჩავყვებოდი
რომ შემეტყო ჰქონდა რამა,
ბევრს არ ვიტყვი მეყოფოდა
შრომის ფასად ერთი დრამა·

—

ძალიცა და სამართალიც
ჩემს ხელშია, სხვის ხელთ არა.
მიხარიან რომ დროთა ბრუნვამ
ამისთანა დროს შემყარა.

—

ბევრი კარგი მეოჯახე
ჩემა ჯიბემ მოინელა,
ზოგჯერ ძალით და ზოგჯერ-კი
ტკბილის სიტყვით ნელა-ნელა.

ს. ოფეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ხუთგორიანი.

სამეფო ქუჩა, სახლი № 27.

თედორე ცხვირგიდელაძეს.

ძმაო თედორე! ძლიერ გვესიამოვნა შენგან წერილის მიღება, მიუხედავათ იმისა, რომ წერილში ნანობაშვილის კილო გაგიმეფებია.

თუმცა შენსავით ქარი არ გვიქრის და უზომო სიცხით ვიხრჩვებით, მაგრამ მაინც მოვახერხებ წერილზე პასუხს.

„ბანკის ბალის ბრძოლა" არც იმდენი ყურადღების ღირსია, როგორც შენა გგონებია. მით უფრო ნაკლებ შეიძლება ის ქართულ საქმეთ ჩაითვალოს, როგორც ამას ზოგიერთი არხი-ხულიგანური გაზეთები სჩადიან. „ზაკავკაზიეს" რედაქტორი ისეთი პურიშკევიჩი რამეა, რომ შეიძლება მართლაც ეგონოს „საქვეყნო საქმე" მოვიმოქმედო. რამდენათაც ხეჩატუროვის „რეჩი" იყო სომხური, იმდენათ ამირეჯიბის კრივია ქართული.

ხოლერა ჯერ არ გვწვევია, მაგრამ ახლა რომც ჩამოსულიყო, სიცხით დაიხრჩვებოდა. კაცმა მართალი უნდა სთქვას, ჩვენს ქალაქს კი სჭირია ერთი იმისი დაუნდობელი რევიზია.

სხვა, ძმაო თედორე, ახალი აქეთ არაფერია. ამ დღეებში გამოვიდა ერთი „სამეცნიერო" ჟურნალი ქართველი სტუდენტებისა „ამომავალი მზე". ყველაფერზე ეტყობა, რომ ეს მზე ან ძლიერ ადრე ჩავა და თუ არ ჩავიდა, „წითლათ მაინც ვერ შეჰღებს მთისა წვერებს". ყოველ შემთხვევაში ამ „მნათობის" შესახებ შემდეგ უფრო დაწვრილებით მოგწერ.

სპარსეთის შახის დაქვრივებამ აქაც დიდი გავლენა მოახდინა. ტახტის დაკარგვა ისეთი ადვილი საქმე გახდა, რომ შიშისაგან აღარ ვარ. მოდი და ნუ გაგეცინება: სათარ-ხანიც ბესტში ზის და შაგომედ ალიც. ნეტავი ერთი ჩვენც მოგვცა ეს რაღაც დალოცვილი ბესტია.

მეტი რაღა მოგწერო, შენსავით მოცლილი რომ ვიყო, კიდევ მოვიგონებდი რასმე ჩვენი გაჭირვებული ცხოვრებიდან, მარა ხათაბალაც ის არის, რომ ამისთვის აღარ მცალია.

მშვიდობით.

შენი **ეშმაკურიძე.**

თფილისი, 9 ივლისი.

ბიბლიურ ჰანგზე·

(მიბაძვა შანშიაშვილისა)

ჰოი, მამულო დაობლებულო!
შენი შვილები უსულ-უგულო
აწ შენთვის თავსა არ იტკივებენ
სულ სხვას ეტრფიან, სხვას იგონებენ!..

—

ღმერთო! მოხედე ჩემს საწყალ მამულს
ნუ აფრქვევინებ ცრემლებს მის ასულს
გემუდარები, მისმინე ეს მე...
მაკმარე კვნესა... ვაიმე!.. ვაჰმე!

ხუმარა,

მათრახის ფოსტა.

ლანჩხუთი. შამშე ებრალიძეს. თქვენი ლექსი: „ქალის წერილი“ არ დაიბეჭდება, მაგრამ დაუბეჭდაობის მიზეზი თქვენი უცნობობა კი არ არის, არამედ თქვენს ლექსთან ნაცნობობაა.

ფოთი. სანაკელს. თქვენ წერილს ვერავითარი „გრძელი წვერი“ ვერ გაამართლებს. აბა ერთი გვიბრძანეთ, რაში ეკითხება ჩვენი გაზეთის მკითხველებს ხოფერიას ქალის გათხოვების ისტორია და თქვენი მასთან აღძრული საჩივარი?

ცემი. მოჰაერეს.

„ვზივარ და ვყლაპავ ჰაერსა
თითქო ქვეყანა ხარობდეს,
ზოგი საკანში იხარშვის
მე კი აქ ვსტკბები ცხოვრებით“.

ეს კუპლეტი თქვენი ლექსისა ყველაზე უფრო ტკბილხმოვანი და შინაარსიანია. ჩვენს რედაქციას სამწუხაროთ მიაჩნია, რომ „საკანში მოხარშული“ ხალხი თქვენს მყუდროებას არღვევს და «ჰაერის ყლაპვას» გიშლისთ. ყოველ შემთხვევაში განაგრძეთ ყლაპვა, მაგრამ თუ ჩვენი ხათრი გაქვთ, პოეტობას დაეხსენით.

ბახმარო. საყორნიელს. ბახმარო რომ „საოცნებო“ ადგილია, ამას ცხადათ ამტკიცებს თქვენი ლექსის ერთი ადგილი:

„მზესა მას სურნელოვანსა
ნისლ-ბურუსები არტყიან
და ქვეყნის საიდუმლოსა
მეუფის ტახტსა ეტყვიან“.

საიდუმლოების გადაცემა იმდენათ არ მოგვწონებია ჩვენ, რამდენათაც «სურნელოვანი მზის» არსებობა. თქვენ, რასაკვირველია, სრული უფლება გაქვთ ნაძვებში იგოგოთ და „სურნელოვან“ მზეზე ილოცნებოთ, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ: ჩვენ ნუ გვაწუხებთ თქვენი ნა[illegible].

ქუთაისი. რიონის-პირელს.

რიონისა წყალის პირში
საგიჟეთის მახლობელად,
ფხაკაძისა ერთი ქალი
არის თურმე მარჩიელად“.

ძნელი გამოსაცნობია: საგიჟეთის მახლობლათ გაჩნდენ მარჩიელი ქალები, თუ გიჟები გაჩნდენ მარჩიელი ქალის მახლობელათ. თქვენი ლექსი ამ უკანასკნელ მოსაზრებას ამართლებს.

ოზურგეთი. ბელურას. როცა ლექსსა სწერთ, ყოველთვის სახეში უნდა გქონდეთ საკუთარი თავი. აი მაგალითად რას იტყოდით, ვინმე სხვას რომ დაეწერა თქვენ შესახებ ეს თქვენ მიერ შეთხზული „პოეტური“ კუპლეტი:

«ტანათ წვრილი და წერწეტი,
ახმახია და ჩერჩეტი...
არცა როდის ფიქრობს მაზე:
რათ აბია თავი ტანზე».

რა თქმა უნდა საჭიროა იმაზე ფიქრი, თუ ,,რისთვის აბია თავი ტანს'', მაგრამ თუ თქვენ იმ დასკვნამდე მიგიყვანათ ამ ფიქრმა, რომ ,,ლექსების საწერათ აბიაო'', დიდ შეცდომაში ხართ და გირჩევთ, კიდევ დაუფიქრდეთ ამ ფრიად საინტერესო საკითხს.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. ბიკტორ ხუჭუას!

თქვენ მიწვევდით სამხანგო სამართალში თანახმა თქვენი სურვილისა ჩემის მხრივ დავასახელ მედიატორები, მაგრამ თქვენ კი გაურბიხართ ჩემს მედიატორებს. გაძლევთ ოცი დღის ვადას დღიდან გამოცხადებისა ან უკან წაიღეთ თქვენი სიტყვა და დანაშაულათ იცანით თავი ან გამომყევი სამხანაგო სამართალში. განაჩენი გაზეთში უნდა იყოს გამოცხადებული.

კრუშევანი.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

ახალი დრამა

პ. ირეთელისა

ქრისტინე

(სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან).

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდ-ფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს ერთი აბაზის მარკები და ამ ფასში მიიღებს თავის ადრესზე.

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. . . . 1 მ. 30 კ.

2) „ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი . . . . 2 — 50

3) „ალმანახები“: აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი, —სულ 10 ნომერი ერთად შეკრული . — 50

4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელისა . . . . . — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირებულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამბაში, ვასო ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.

იუმორისტულ პოპულიარული, ყოველ-კვირეული, სურათებიანი ჟურნალი

„მათრახი და სალამური“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით— 2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის“ ალმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» ВасилІю Болквадзе.

“ფაუსტი“

გიოტესი

თარგმანი პ. მირიანიშვილისა

ფასი 1 მან. 25 კ.

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს წიგნი დაეთმობა თითო მანეთად. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც ხოლო გასაგზავნი დაემატება თითო წიგნზე ორი შაური.

ვისაც სურს ეს წიგნი შეიძინოს მიჰმართოს „შრომის“ სტამბაში ვასო ბოლქვაძეს.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუსის ქ. № 3.

რედაქტორ გამომცემელი ე. ტურაბელიძე